



საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI ყოველწლიური კონფერენცია

პირველი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი აწყობს VI საერთაშორისო კონფერენციას 2015 წლის 12-16 ივლისს. კონფერენცია ჩატარდება ქ. ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციის თემებია

- ალგებრა და რიცხვთა თეორია
- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა
- ბუნებრივი ენების ლოგიკა და გამოთვლითი ლინგვისტიკა
- მათემატიკური განათლება და ისტორია
- მათემატიკური ლოგიკა, გამოყენებითი ლოგიკა და დაპროგრამება
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი
- მათემატიკური ფიზიკა
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი
- ტოპოლოგია და მისი გამოყენებები
- უწყვეტ გარემოთა მექანიკა
- ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენებები

კონფერენციის ფარგლებში გათვალისწინებულია საიუბილეო სესიების ჩატარება.

თემატური სესიები

მონაწილეებმა, რომელთაც სურთ პარალელური თემატური სესიების ჩამოყალიბება, უნდა გამოაგზავნონ განცხადება არაუგვიანეს 2015 წლის 15 მარტისა შემდეგ მისამართებზე: gmu_conferences@gmu.ge და batumi.conference@yahoo.com. ახალი სესიის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა არანაკლებ 5 მომხსენებლის განცხადება მონაწილეობაზე.

კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანი

	კავშირის წევრები	სხვა მონაწილეები
სრული მონაწილეობა	50 ლარი	80 ლარი
ახალგაზრდა მკვლევრები (30 წლამდე) და დამსახურებული მკვლევრები (70 წელს ზემოთ)	30 ლარი	50 ლარი
მაგისტრანტები და დოქტორანტები	15 ლარი	25 ლარი
დაუსწრებელი მონაწილეობა (მოხსენებათა თეზისების პუბლიკაცია კონფერენციის შრომათა კრებულში) ან დამატებითი (მეორე, მესამე) თეზისის გამოქვეყნება	20 ლარი	

კონფერენციის ორგანიზატორები ფინანსური მხარდაჭერისათვის მიმართავენ სხვადასხვა ფონდებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. გრანტების მიღების შემთხვევაში კონფერენციის მონაწილეთა გარკვეულ ჯგუფებს აუნაზღაურდებათ მგზავრობის ან/და სასტუმროს ხარჯები.

კონფერენციის ყველა მონაწილე, ორგანიზატორებისა და პლენარული მომხსენებლების ჩათვლით, იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანს.

რეგისტრაცია და თეზისის წარდგენა

გთხოვთ ეწვიოთ კონფერენციის ვებ-გვერდს www.gmu.ge/Batumi2015, გაიაროთ რეგისტრაცია (რომელიც რამდენიმე დღეში დაიწყება) და ატვირთოთ თეზისის LaTeX და Pdf ვერსიები **2015 წლის 15 აპრილამდე**.

თეზისი LaTeX ფორმატში უნდა მომზადდეს შაბლონის მიხედვით და მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს **ერთ გვერდს**. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონის ფაილში მითითებული წესები. **თეზისის შაბლონის ჩამოტვირთვა შეიძლება კონფერენციის ვებ-გვერდიდან.**

ინფორმაცია სასტუმროების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართებზე: <http://www.booking.com/> და <https://www.airbnb.com/>. საორგანიზაციო კომიტეტი გთავაზობთ სასტუმროს გონიოში (ბათუმის გარეუბანში), ხოლო სხვა სასტუმროებთან დაკავშირებით მოგაწვდით ინფორმაციას კონფერენციის ვებ-გვერდზე. საორგანიზაციო კომიტეტი დაგიჯავშნით სასტუმროს, თუ გადაიხდით სასტუმროს ხარჯებს და კონფერენციის გადასახადს **2015 წლის 15 მაისამდე**. (დეტალური ინფორმაცია გამოქვეყნდება მოგვიანებით).

კულტურული პროგრამა

გათვალისწინებულია ექსკურსიები ქალაქის ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ადგილების გასაცნობად.

მნიშვნელოვანი თარიღები

15 მარტი, 2015- სესიების ჩამოყალიბებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა

15 აპრილი, 2015 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა

1 მაისი, 2015 - ინფორმაცია კონფერენციის პროგრამაში მოხსენების ჩართვის შესახებ

15 მაისი, 2015 - დაჯავშნილი სასტუმროს თანხის გადახდის საბოლოო ვადა.

11 ივლისი, 2015- ბათუმში ჩასვლის დღე

12 ივლისი, 2015- კონფერენციის გახსნა ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

14 ივლისი, 2015- ექსკურსიების დღე

16 ივლისი, 2015- კონფერენციის დახურვა

როლანდ დუდუჩავა
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე